№ 109
სამშაბათი, 24 მაისი 1894

1877—1894

ივერია

№ 109
სამშაბათი, 24 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამგერს. საზოგადოების კანცელარიას—ასახლის ქუჩა, ბანკის ჯარებსა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპიკი.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

თავადი დიმიტრი სოლომონის ძე მაყაშვილი, თავადი ნიკოლოზ შერვაშიძის ძე აფხაზი, ელისაბედ გრიგოლის ასული საბინაშვილისა და თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ამით აუწყებენ რა გულითადის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ცოლისას, მეორე—ასულისას, ხოლო მესამე და მეოთხე—დისწულისას, **კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულის მაყაშვილისას**, სთხოვენ მობრძანდნენ დღეს, სამშაბათს, 24 მაისს, დილის 9 საათზედ, განსვენებულის ქვაშვეთის ეკკლესიაში მსახსენებლად, საიდგანაც, წირვის შემდეგ, იგი წასვენებულ იქმნება დასაკრძალავად ვერაზედ, წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის გალავანში.

დამზღვეველი საზოგადოება
„იაკორი"
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც პირითადი თანხა **2,500,000** მან. ასჩს, გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მორწმუნეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კაკვასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2.

ᲛᲝᲚᲐᲛᲒᲛ
№ 1

ხელმეორედ დაიბეჭდა და ახალ ხელის მომწერლებს გაეგზავნებათ მეხუთე ნომერთან ერთად.

(5—4)

წერილები და კორესპონდენციები უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

თამარ მეფის სიზმარი

ჩვენში ძველად სწორედ დედაკაცი ყოფილა ოჯახის უძლეველი ბურჯი, მოჯალაბეთა მოძღვარი, მესვეური. თვით სიტყვა „დიასახლისი" (დედა-სახლისი) ამას ჰმოწმობს თვით სიტყვა „მეუღლე". აბა, უღლის გაწევა როგორ შეიძლება, თუ უღელს ორივე მხრივ თანაბარი ძალა არა სწევს. თვით რუსთველიც მხოლოდ იმასვე იმეორებს, რაც თავის თვალით ერის ცხოვრებაში შეუნიშნავს, ესე იგი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადია".

ქალი რომ ძალა ყოფილა, ჰყვარებია მეშაობა და შრომისა არა რცხვენებია, ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, ცხოვრება თამარ მეფისა, და აგრეთვე დღევანდელ ხევსურთა, ფშაველთა, თუშთა, ინგილოთა, სვანთა ქალიშვილების სიმხნე-სიქველე, რომელიც სოფლის ბავშვებს-ვაჟთა და ქალთა—წიგნს ასწავლიდა და ამისთვის შემდეგში, მოწაფის დაგვირგვინების ჟამს, იღებდა „საოსტატოს" „სამოძღვროს». აქედგან არის დარჩენილი, რომ დღეს ზოგიერთ მოხუცებულ დედა-კაცებმა ვეფხის ტყაოსანი ზეპირად იციან და სიტყვის მასალად რუსთველის უკვდავ თქმულებას ჩაურთავენ ხოლმე ლაპარაკში. მაშინ მამულს ეჩვირვება გმირი კაცი და ამიტომაც იგი ქალნი-ოსტატ-მოძღვარნი—თვის ნორჩ-მოწაფეთა სულ-გულში უნერგავდნენ შოთას საგმირო ამბებს.

ამას გარდა ნუ დავივიწყებთ, რომ საქართველოს ძველის ეკკლესიების სალაროებში დღემდის დაცულია არა ერთი სახმრთო ნივთი, ქალთაგან მწერლობა, ეს წმიდა ტრფიალი კეთილშობილის აზრებისა, გადაქცეულ ზნეობის დამამცირებელ მოედანად და ჟურნალში გვიქადაგებენ სინიდისისა და რწმენის გასყიდვის საჭიროებასაო. ამას იქით წასვლა შეუძლებელი-ღაა და ამით შეძრწუნებული ვუცხადებ წინააღმდეგობას ასეთს ოპოზიციასა და ასეთს ბრძოლასაცაო".

ამ აზრით მოსულა პატივცემული ვასილ ყიფიანი ქუთაისიდან; ამ აზრით შეჭნილა იგი წინააღმდეგი ოპოზიციისა. ამავე აზრით ხელმძღვანელობენ მრავალნი სხვანიც, რომელნიც ოპოზიციაში იყვნენ წინად, და სხვათა შორის ამავე მიზეზით შექმნილა დღეს მართველობის მომხრედ ბატონი ნიკოლაძე, ეს „პროფესიონალური" ოპოზიციონისტიო.

რასაკვირველია ჩვენ ველარ მკრთალად აღვმდგინეთ სიტყვა-სიტყვითის, რაც წარმოსთქვა ბატონმა ყიფიანმა. მაგრამ აზრი კი ნამდვილად ასეთი იყო ამ კეთილშობილის კაცის სიტყვისა.

დარწმუნებულნი ვართ, ეს გულწრფელად ნათქვამი სიტყვა არ დავარდნილა უნაყოფო ნიადაგზედ და იმედიც გვაქვს, რომ იგი უეჭველად კეთილად გამოიცვლება. დარწმუნებულნი ვართ მეტადრე იმისთვის, რომ კოველ დიდ თათბირების ქვეშ დასტოვა ბატონის ყიფიანის სიტყვამ, იმდენად ძლიერ შთაბეჭდილების ქვეშ, რომ პასუხის მიცემა ყოველად შეუძლებელი იყო. ეს ცხადი იყო მმართველობის მომხრეთათვის და საგრძნობელი ოპოზიციის მეთაურთათვისაც. არისს იერი გარემოება, რომელიც უნებურად იმორჩილებს ადამიანს, და სწორედ ამ გვარის ხასიათისა იყო გუშინდელი სიტყვა, სათავად აზნაურო ბანკის კრებაზედ ბატონის ვასილ ყიფიანის მიერ წარმოთქმული.

მემატიანე

დამაგვირგვინე

შვენის ადამიანი ერთს სასამსახურ გამოიჩენს, მაგრამ ზნესი-კი წლობით უნაკლოდ და ადგნოთ თვალ-ყური, რომ გაიცნოთ.

ჰერდერი

**

სიყვარული სატკბობაა, სამძულოდი—ტანჯვა.

ინგლის. ანდაზა

**

სათნოება ჯან-საღობაა სულისა; ჯან-საღობა სათნოებაა სხეულისა.

პრუდონი

ახალი ამბავი

*** დღეს, სამშაბათს, 24 მაისს, საღამოს 7½ საათზედ, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამპრაქტორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. ამ კრებაზედ განხილული იქნება მიმომდინარე საქმეები. არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

*** ცხინვალი: იმ ვენახების გარეშემო, რომელშიაც ფილოქსერა აღმოჩნდა და დასწვეს, წელს გაჰხალეს, ძველი კანი გააცალეს, დასწვეს და წამალი წაუსვეს. როგორც სჩანს, წელსაც აპირობენ მუშაობას, რადგანაც რამდენიმე მუშა კაცი გაჰგზავნეს იქაურთ ძი, რომ ... ველონ წესიერი მუშაობა.

*** რაჭა: მთავრობას ჰქონდა აზრად შეერთება რამდენისმე სამამასახლისოსი ერთ სამამასახლისოდ. ახალმა მაზრის უფროსმა ამ აზრის განხორციელება უკვე დაიწყო. ამ დღეებში მისის განკარგულებით შეერთდა ერთს სამამასახლისოდ სოფლები: ამბროლაური, წესი და ველეი. 11 მაისს ყირლობაც მოხდა ამ სოფლების გლეხობისა; ყირლობას დაესწრო მაზრის უფროსი, რომელმაც აუხსნა ხალხს სწავლა-განათლების საჭიროება და სარგებლობა და ურჩია, ორკლასიანი სკოლა დაეარსებინათ სამეურნეო განყოფილებითაო. გლეხობა დათანხმდა მაზრის უფროსს და განაჩენიც შეადგინეს. სამეურნეო ცოდნა რაკველებისათვის ფრიად საჭირო მელიც სოფლის ბავშვებს-ვაჟთა და ქალთა—წიგნს ასწავლიდა და ამისთვის შემდეგში, მოწაფის დაგვირგვინების ჟამს, იღებდა «საოსტატოს» „სამოძღვროს». აქედგან არის დარჩენილი, რომ დღეს ზოგიერთ მოხუცებულ დედა-კაცებმა ვეფხის ტყაოსანი ზეპირად იციან და სიტყვის მასალად რუსთველის უკვდავ თქმულებას ჩაურთავენ ხოლმე ლაპარაკში. მაშინ მამულს ეჩვირვება გმირი კაცი და ამიტომაც იგი ქალნი-ოსტატ-მოძღვარნი—თვის ნორჩ-მოწაფეთა სულ-გულში უნერგავდნენ შოთას საგმირო ამბებს.

ამას გარდა ნუ დავივიწყებთ, რომ საქართველოს ძველის ეკკლესიების სალაროებში დღემდის დაცულია არა ერთი სახმრთო ნივთი, ქალთაგან

ნაქსოე-ნაკერი ნაქარგი.

მრავალ მაგალითთაგან აქ მოვიღოთ ერთი, სახელდობრ ის წყაზარი მაგალითი, რომელიც ნათლად გვისურათებს ნეტარ ხსენებულ თამარ დედოფალს, დედას და სასოს ქართველისას.

ქარელის-ცხოვრების თქმით თამარ მეფე მეტად მხნე, გამრჯელი, გლახაკთა და ქვრივ-ობოლთ შემწყნარებელი ადამიანი ყოფილა. თამარს თურმე პირზედ მუდამ შემდეგი სიტყვები ეკერა:

„მე ვარ მამა ობოლთა
და მსაჯული ქვრივთა".

ყოველ ღამინდელი მისი ხელ-საქმარი გლახაკთ ეძლეოდა. ერთ ღამეს, ამ გვარ ხელ-საქმარის შემდეგ, დამაშვრალ მეფე—დედოფალს

ფიასა და არც პროვინციაში. უსაფუძვლოა ის ამბავი, ვითომ სტამბულოლი და მისნი ამხანაგნი დაპატიმრებულნი არიანო. მხოლოდ სტამბულოვის სახლის კარებზედ თვით იმის დასაცველად ქანდარმის დარაჯი სდგას. შესვლა და გამოსვლა არავისა აქვს აღკრძალული; დღესაც სტამბულოვთან რამდენიმე საზღვარ-გარეთის დიპლომატი იყო.

მთავრობამ თავისს საზღვარ-გარეთის წარმომადგენლებს დეპეშა წაუგზავნა, რომელშიაც აცხადებს, რომ კაბინეტის შეცვლა გამოიწვია მხოლოდ შინაგანმა საპოლიტიკო მიზეზმა და ეს ცვლილება არ შესცვლის იმ დედა-აზრთ, რომლითაც ხელმძღვანელობდა აქამდე სამთავრო.

სოფიის დიდმა მოქალაქეებმა პრინც კობურგისას დეპუტაცია მიუგზავნეს, რათა ამ მოქალაქეთა სიამოვნება განუცხადონ მთავარს სტამბულოვის დათხოვნისათვის.

სისტოვში ხალხმა სტამბულოვის სიმამრის სახლი აიკლო; რუშჩუკში დემონსტრაციები მოხდა სტამბულოვის სასარგებლოდ და ამ დემონსტრაციებში ჯარმაც მონაწილეობა მიიღო. მინისტრად ნამყოფნი გამძვინვარებულს ხალხს ემალებიან.

ბირჟა

პეტერბურგის ბირჟა, 20 მაისი

	ფასები ლისტისა.	გაყიდვის.	ვადიანი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ბუთ-მანათიანი ობლიგ.	7 ₂₅₁	7 ₂₅₃	— ,,
ტამოჟნის კუპონები	150	150½	— ,,
ბანკნოტიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	248
—მეორისა	— ,,	— ,,	225
4½ მესამე სესხისა.	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	191¾
გირავნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა: 6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

განცხადებანი

ყვავილის ამცრელი ეძიმი პროზოროვსკი სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად. (12—10)

მინდა ვიყიდე

რამდენი ეკიპარჟი ისეთი ღუნა, რომელიც შორ გზას გაუძლებს, სამხედოსის გარედ გასატანად. ღუნის ფასზედ უნდა მიხედეთ ჯერწყლების (კისლოვოდსკში) და გზის ხარჯიც ბათუმიდე.

ადრესი: მ ერტ ა გ, ლაბორატორის ქუჩა, № 4. (3—1223—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახიერურგიო ვენერიული და სიფილისი.

ჟ. მ. ჩაქანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. წულუკიძე, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ა. ფ. ბრონცასუკი, 11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურნოგინა, 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ს. გურგა, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ქ. ა. ფრანგიული, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კოსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმით და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლუკენციასი.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასნეულებული ზემოხსენებულ მანის შედგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიის). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

ცხოვრება

შეიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა ჯ ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიკერაროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაშა. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჭნეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

კბილის ექიმი ა. ი. ორგელი

ოლოლაყზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—162)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
გისრამიანი	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კაუარი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე შვიდერის ყდით	„	80
მოთხრობანი ვატა-ფშაველასი	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა	„	15
ხომალი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანი დამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

„ИВЕРІА“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12	თვით. . . .	10 მ.—კ.	6	თვით . . .	6 მ.—კ.
11	,, . . .	9 ,, 50,,	5	,, . . .	5 ,, 50,,
10	,, . . .	8 ,, 75,,	4	,, . . .	4 ,, 75,,
9	,, . . .	8 ,, —,,	3	,, . . .	3 ,, 50,,
8	,, . . .	7 ,, 25,,	2	,, . . .	2 ,, 75,,
7	,, . . .	6 ,, 50,,	1	,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერიაზე“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІИ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული შესანსკუთრე გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა განთავსებაშია იმის გვერდობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიკანონოს. ხელ-ნაწერები, ან საგანგებო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ეყოლი მოსთხოვს.

არა-გვაქს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდან პირველ ათამდე და საღამოთი 6-დან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნაოლოლოზის ქუჩაზე, 21.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ სანოვაგე სათით მოჭედავს მოძრაობაში.

ტურგინეგი

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

ასაპარელო ესსენცია კოლგეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიყზე უნდა იყოს ამომჯდარი ასოებით წითლად დაბეჭდილი



რუსეთის უველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

„ნევის პაპიროზები“



დუხები—„ნევის პაპიროზი“
ოდეკოლონი—„ნევის პაპიროზი“
პაპონი—„ნევის პაპიროზი“

„მაუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მაუსკ“ სიგ. ქ. ოდეკ.

საგანგებო და სასიამოვნო ლაბორატორიისა.

„პაპიროზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—38)